



თელავის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 1182
26/08/2020

1182-08-4-202008261739



თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების
სტრატეგიისა და 2021–2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია“, „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების 2021–2022 წლების სამოქმედო გეგმა“ (სტრატეგიული დოკუმენტები) და „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია“.
2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს ყოველწლიურად, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესაბამისად.
3. სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის პროცესში თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.
4. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის მიზნით პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი თავბერიძე.
5. სტრატეგიული დოკუმენტები განახლდეს ორ წელიწადში ერთხელ.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი 41).

შოთა ნარეკლიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია

